განკარგულება - N 20.478.626
6 / მაისი / 2020 წ.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ეკონომიკური საქმიანობის განხორციელების მიზნით, სარგებლობის უფლებით გადაცემული უძრავი ქონების მოსარგებლეთა მიმართ ზოგიერთი ხელშემწყობი ღონისძიების განხორციელების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის'' მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ბ'' ქვეპუნქტის, 75-ე მუხლის ,,დ.ვ'' და „დ.ზ" ქვეპუნქტების, 127^2 მუხლის მე-3 პუნქტისა და 163^3 მუხლების, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის N19-78 დადგენილებით დამტკიცებული მე-14 მუხლის პირველი, მე-2 და 3^1 პუნქტების შესაბამისად და „საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებასთან დაკავშირებით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2020 წლის 21 მარტის N1 დეკრეტის გათვალისწინებით,

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ გადაწყვიტა:

1.მოწონებულ იქნეს და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გადაწყვეტილების მისაღებად/შესათანხმებლად წარედგინოს შემდეგი საკითხი:

ა) ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ეკონომიკური საქმიანობის მიზნით, აუქციონის ფორმით ან პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით გადაცემული უძრავი ქონების (გარდა ღია კაფეს განთავსების მიზნით გადაცემული ქონებისა) მიმღებთათვის (შემდგომში - „მოსარგებლე") 2020 წლის 1 მარტიდან 2020 წლის 31 მაისის პერიოდზე სარგებლობის ქირა შეეცვალოს და განისაზღვროს 0 (ნული) ლარის ოდენობით, გარდა ამ განკარგულებით გათვალისწინებული შემთხვევისა;

ბ) მოსარგებლეს, რომელსაც 2020 წლის 1 მარტიდან 31 მაისის ჩათვლით პერიოდზე ფაქტობრივად გადახდილი აქვს სარგებლობის ქირა/ქირის ნაწილი, გადახდილი ქირა/ქირის ნაწილი ჩაეთვალოს მომავალი გადაუხდელი პერიოდის სარგებლობის ქირის ანგარიშში (ასეთის არსებობის შემთხვევაში), გადახდილი პერიოდის პროპორციულად;

გ) მოსარგებლეს, რომელსაც გადახდილი აქვს 2020 წლის 1 მარტიდან პერიოდზე სარგებლობის ქირა/ქირის ნაწილი და სარგებლობის ხელშეკრულების ვადა იწურება 2020 წლის 1 ივნისამდე, ხელშეკრულების ვადის ამოწურვამდე დარჩენილ გადაუხდელ პერიოდზე (ასეთის არსებობის

შემთხვევაში) სარგებლობის ქირა შეეცვალოს და განესაზღვროს 0 (ნული) ლარის ოდენობით;

დ) გადახდილი სარგებლობის ქირა არ ექვემდებარება დაბრუნებას;

ე) მოსარგებლეს, რომელსაც შესაბამისი სარგებლობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე დაეკისრათ/დაეკისრებოდათ პირგასამტეხლო, 2020 წლის 1 მარტიდან 31 მაისამდე პერიოდზე გათავისუფლდნენ ამ პერიოდზე დაკისრებული/დასაკისრებელი პირგასამტეხლოსგან;

ვ) ამ განკარგულებით გათვალისწინებული ხელშემწყობი ღონისძიებები აისახოს იმ ქვემოსარგებლეებზე, რომელთაც უძრავი ქონება სარგებლობის უფლებით გადაცემული აქვთ ამ განკარგულებით გათვალისწინებული მოსარგებლეებისგან, პროპორციულობისა და სამართლიანობის პრინციპების გათვალისწინებით, შესაბამის მხარეთა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე;

ზ) წინამდებარე განკარგულება არ ვრცელდება:

ზ.ა) „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებულ კომერციულ ბანკებზე საბანკო საქმიანობის განხორციელების მიზნით გადაცემული უძრავი ქონების ნაწილში, გარდა ე.წ. სწრაფი გადახდის აპარატის განსათავსებლად გადაცემული უძრავი ქონებისა;

ზ.ბ) „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებულ სუბიექტებზე საკომუნიკაციო ან/და მასთან დაკავშირებული მომსახურების გაწევის მიზნით გადაცემული უძრავი ქონების ნაწილში;

ზ.გ) „ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებულ ლიცენზიატებზე, გარდა ელექტროსადგურის მწარმოებელი პირებისა, ამავე კანონით განსაზღვრული ან/და მასთან დაკავშირებული მომსახურებების გაწევის მიზნით გადაცემული უძრავი ქონების ნაწილში;

ზ.დ) იმ მოსარგებლეებზე, რომელთაც უძრავი ქონება გადაეცათ პირდაპირ ან ირიბად მასზე გარე რეკლამის განთავსების მიზნით;

ზ.ე) იმ მოსარგებლეებზე, რომელთაც უძრავი ქონების სარგებლობის ქირა განსაზღვრული აქვთ არაფიქსირებული ოდენობით (შემოსავლის პროცენტით).

2. ამ განკარგულებით გათვალისწინებული ხელშემწყობი ღონისძიებები გავრცელდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 50%-ზე მეტი წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოების საკუთრებაში არსებული (ბალანსზე რიცხული), ეკონომიკური საქმიანობის მიზნით, აუქციონის ფორმით ან პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით გადაცემული უძრავი ქონების (გარდა ღია კაფეს განთავსების მიზნით გადაცემული ქონების) მიმღებთა მიმართ.

3. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ ამ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებულ საკითხზე დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის

საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა - ქონების მართვის სააგენტომ უზრუნველყოს ამ განკარგულების პირველი პუნქტის შესაბამისად წლიური სარგებლობის ქირის გადაანგარიშება და მოსარგებლეთათვის ამ განკარგულების გაცნობა მისი გამოქვეყნების, გადაცემის, ფოსტის ან/და ელექტრონული საშუალებებით გაგზავნის გზით.

4. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველ მოადგილეს (ვიცე-მერი) ირაკლი ხმალაძეს.

5. ამ განკარგულების გასაჩივრება, დაინტერესებული მხარის მიერ, შესაძლებელია მისთვის განკარგულების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი

კახა კალაძე